დანართი N1

სამოგზაურო დაზღვევის პირობები:

მიზნობრივი სეგმენტი:

სსიპ „იუსტიციის სახლში“ სამოგზაურო დაზღვევის პოლისის შეძენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეებს, უცხო ქვეყნის მოქალაქეებსა და საქართველოში სტატუსის მქონე მოქალაქეობის არმქონე პირებს, ასაკობრივი შეზღუდვის გარეშე.

სამოგზაურო დაზღვევის პოლისის ტიპი:

სსიპ „იუსტიციის სახლში“ სამოგზაურო დაზღვევის სერვისის მიწოდების მიზნით, სადაზღვევო კომპანიამ უნდა უზრუნველყოს ორი ტიპის სადაზღვევო პოლისის შეთავაზება, რომელთა მოქმედების ვადა განისაზღვრება 1 წლით:

- **ერთჯერადი სამოგზაურო დაზღვევის პოლისი** – რომელიც მოქმედებს კონკრეტული მოგზაურობისთვის განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში;
- **მრავალჯერადი სამოგზაურო დაზღვევის პოლისი (მულტი პოლისი)** რომელიც მოქმდებს პოლისით განსაზღვრული სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და უზრუნველყოფს დაზღვეული პირის მრავალჯერადი მოგზაურობის დაზღვევას, თითოეული მოგზაურობის ხანგრძლივობის შესაბამისად.

სამოგზაურო დაზღვევის პოლისის ღირებულება:

სადაზღვევო პრემია ერთ დღეზე უნდა შეადგენდეს 1.80 (ერთი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარს.

სამოგზაურო დაზღვევის პოლისის დაფარვები:

ხარჯების ანაზღაურების ლიმიტი - 50 000 აშშ დოლარი /ევრო, რომელიც მოიცავს შემდეგ ქველიმიტებს:

გადაუდებელი სტაციონარული/ჰოსპიტალური მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისში მითითებულ ქვეყნებში ყოფნის დროს ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის გადაუდებელი სტაციონარული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას ჯამური ლიმიტით 30 000 აშშ დოლარი/ევრო. თუ გადაუდებელი სტაციონარული/ჰოსპიტალური მომსახურება იანგარიშება დღიურად, დღიური ლიმიტი უნდა შეადგნდეს, არანაკლებ 1 000 აშშ დოლარს/ევროს (80 აშშ დოლარის/ევროს ოდენობის ფრანშიზის გათვალისწინებით).

გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურება - გადაუდებელ მდგომარეობაში მყოფი დაზღვეულისთვის გაწეული სამედიცინო მომსახურება, რომელიც არ საჭიროებს

სამედიცინო დაწესებულებაში 24 საათზე მეტი ხნით დაყოვნებას, ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისში მითითებულ ქვეყნებში ყოფნის დროს ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის გადაუდებელი ამბულატორული მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას ჯამური ლიმიტით 5 000 აშშ დოლარი/ევრო. გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურების გაწევა განხორციელდება (80 აშშ დოლარის/ევროს ოდენობის ფრანშიზის გათვალისწინებით).

სადაზღვევო შემთხვევა, რომელიც დადგა და არ დასრულებულა სადაზღვევო პერიოდში, უნდა ექვემდებარებოდეს ანაზღაურებას სრულად ლიმიტის ფარგლებში. ამასთან, თუ გაწეული სამედიცინო მომსახურების ხარჯი იანგარიშება დღიურად, ანაზღაურებას უნდა დაექვემდებაროს, სადაზღვევო პერიოდის დასრულებიდან არანაკლებ 15 (თხუთმეტი) დღის ხარჯი;

გადაუდებელი ჰოსპიტალური მომსახურება - ითვალისწინებს მათ შორის, დაზღვევამდე არსებული ან ქრონიკული დაავადებების გართულების მკურნალობის ანაზღაურებას იმ შემთხვევაში, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებლივი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია.

გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისში მითითებულ ქვეყნებში ყოფნის დროს ლიცენზირებულ სტომატოლოგიურ კლინიკაში დაზღვეულის გადაუდებელი სტომატოლოგიური მომსახურების (კბილის ექსტრაქცია, გაუტკივარება) ხარჯების დაფინანსებას ჯამური ლიმიტით 1 000 აშშ დოლარი/ევრო (80 აშშ დოლარის/ევროს ოდენობის ფრანშიზის გათვალისწინებით).

ავადმყოფის ან გვამის (თუ ნებადართულია ექიმის მიერ) **რეპატრიაცია** - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისში მითითებულ ქვეყნებში ყოფნის დროს დაზღვეულის ან გარდაცვალების შემთხვევაში მისი გვამის რეპატრიაციის ხარჯების ანაზღაურებას. მაქსიმალური ლიმიტი 20 000 აშშ დოლარი/ევრო.

დამატებითი მომსახურებები:

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადის გამოძახება/მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისში მითითებულ ქვეყნებში ყოფნის დროს ლიცენზირებულ სასწრაფო სამედიცინო გადაუდებელი მომსახურების ხარჯების დაფინანსებას ჯამური ლიმიტით 1 000 აშშ დოლარი /ევრო.

გადაუდებელი ოფთალმოლოგიური მომსახურება - ითვალისწინებს, სადაზღვევო პოლისის მოქმედების პერიოდში, პოლისში მითითებულ ქვეყნებში ყოფნის დროს ლიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში დაზღვეულის სხეულის დაზიანებით მიღებული თვალის გადაუდებელი მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებას, მაქსიმალური ლიმიტი 1,000 აშშ დოლარი/ ევროს. (80 აშშ დოლარის/ევროს ოდენობის ფრანშიზის გათვალისწინებით).

ბარგის დაკარგვა

ბარგის დაკარგვის შემთხვევაში კომპანია აანაზღაურებს 1 კგ ტვირთზე 25 აშშ დოლარს/ევროს, ბარგის მაქსიმალური წონა 20 კილოგრამი. სადაზღვევო პერიოდში მომხდარი სადაზღვევო შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მიუხედავად ლიმიტი შეადგენს 500 აშშ დოლარს/ევროს.

გამონაკლისები:

ამ დაზღვევის პირობებით არ იფარება/არ ანაზღაურდება შემთხვევები, რომლებიც გამოწვეულია:

- დაზღვეულის კანონსაწინააღმდეგო ქმედებით, თვითდაშავებით, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობისას მიღებული დაზიანებებით;
- დაზღვეულის მიერ არააუცილებელ ხიფათში თავის ჩაგდებით (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს ეხება სხვისი სიცოცხლის გადარჩენას);
- სამოქალაქო ან სხვა სახელმწიფოსთან ომით, აჯანყებით, დემონსტრაციებით, ტერორისტული აქტებით ან საბოტაჟით, არეულობით ან მღელვარებით;
- დაზღვეულის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან/და სხვა ტოქსიკური ნივთიერების ზემოქმედებით, აგრეთვე კვალიფიციური/კომპეტენტური ექიმის დაუნიშნავად მიღებუ ლი წამლების მომწამლავი ეფექტით;
- ანაზღაურება არ გაიცემა, ასევე იმ შემთხვევაშიც თუ მზღვეველისათვის არ არის გადახდილი სადაზღვევო პრემია სრულად.

ასევე არ იფარება შემდეგი მომსახურება**,** მდგომარეობა და ხარჯები**:**

- ქრონიკული დაავადებები და მათი გამწვავებები ან მოგზაურობამდე გამოვლენილი დაავადებები და მათი გართულებები, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც დაზღვეულის სიცოცხლის გადასარჩენად გადაუდებელი სამედიცინო დახმარებაა საჭირო; ვაქცინაციის ხარჯები; მოგზაურობა რომელიც გამიზნულია სამედიცინო მკურნალობის ან კონსულტაციის მისაღებად;
- ყოველგვარი ხარჯები, გაწეული გადაუდებელ სამედიცინო ევაკუაციაზე, რომელიც წინასწარ იქნა დამოწმებული პოლისში მითითებული დახმარების გამწევი ცენტრის მიერ;
- ონკოლოგიური დაავადებების მკურნალობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც გაწეული გადაუდებელი სამედიცინო დახმარება მიზნად ისახავს დაზღვეულის სიცოცხლის გადარჩენას ან მწვავე ტკივილის მოხსნას;
- გონებრივ, ფსიქიურ, ან ფსიქოსტომატურ დარღვევებთან დაკავშირებული ნებისმიერი • ხარჯები;
- ორსულობა, მშობიარობა და მათი შედეგები. ორსულობის პერიოდისათვის დამახასიათებელი ჩივილების/გართულებების მკურნალობა, ორსულობის გამო ქრონიკული დაავადებების მსვლელობის ცვლილებების ჩათვლით; მორიგი გამოკვლევები ორსულობის პერიოდში; ხელოვნური განაყოფიერება, ისევე როგორც უშვილობის მკურნალობა, კონტრაცეფციის ხარჯები და ორსულობის

შეწყვეტა;სათვალეების, კონტაქტური ლინზების, კბილის პროთეზების, სმენის დამხმარე აპარატის შერჩევის ან მორგების ხარჯები; ორგანოთა ყოველგვარი ტრანსპლანტაცია, ფიზიკური ნაკლების და ანომალიების კოსმეტიკური ქირურგია, პროთეზირება, მაკორექტირებელი მოწყობილობები, და სამედიცინო სამარჯვები. გულ-სისხლძარღვთა სისტემაზე ქირურგიული ოპერაციის

(აორტოკორონარული შუნტირება და სხვა) და ნეიროქირურგიული ოპერაციის ხარჯები;

- ფიზიოთერაპიის ხარჯები, რაიმე სახის ხანგრძლივი მკურნალობა და რეაბილიტაცია შემდეგ სამედიცინო დაწესებულებებში: მოხუცებულთა სახლი, სარეაბილიტაციო ცენტრი, ბალნეოლოგიური კურორტი, სანატორიუმი, არატრადიციული მეთოდებით მკურნალობა, ან სამედიცინო მომსახურება;
- ვენერიული დაავადებებით და მათი მკურნალობით გამოწვეული ხარჯები; შიდს-ის და

აიდ ვირუსით გამოწვეული დაავადებების მკურნალობის ხარჯები; პარენტერალური მექანიზმით გადამდები ვირუსული ჰეპატიტების და მათი შედეგების მკურნალობა;

- დაზღვეული პირის ნებისმიერი კრიმინალური მოქმედების დროს მომხდარი უბედური
- შემთხვევის შედეგად დაზიანების ან ავადმყოფობის მკურნალობის ხარჯები; ბირთვული ენერგიის წყაროს (ბირთვული რეაქციები, რადიაცია, დაბინძურება) ზემოქმედებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანება ან ხარჯები; ეპიდემიით, გარემოს დაბინძურებით ან სტიქიური უბედურებით გამოწვეული ყველა სახის დაზიანება ან ხარჯები; თვითმფრინავზე ასვლის, თვითმფრინავიდან ჩამოსვლის ან მასში ყოფნისას მიღებული დაზიანება;
- ნებისმიერი დაზიანება, გამოწვეული გამიზნული თვითდაშვებით, თვითმკვლელობით ან მათი მცდელობით;
- ოჯახის წევრის, ექიმბაშის ან არალიცენზირებული დაწესებულების მიერ გაწეული მკურნალობა და სამედიცინო მომსახურება;
- პროფესიონალური ექსტრემალური ან/და სამოყვარულო სპორტის სახეობებში მონაწილეობისას მომხდარი უბედური შემთხვევები, მაგალითად ავტომობილების, მოტოციკლეტების და ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებების შეჯიბრი; სპორტის საჰაერო სახეობები, ალპინიზმი, სპორტის საბრძოლო სახეობები, სპელეოლოგია, აკვალანგით ყვინთვა და ა.შ;
- ხარჯები, რომლებიც დაიფარება სხვა სადაზღვევო პოლისებით.